საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №26/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 05 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 13 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2019 წლის 18 აპრილს.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 2004 წელს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა 2010 წელს. 2011 წლის მარტში, განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა დაცვის მხარის მიერ, თუმცა, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) მხრიდან, საქმის განხილვა დღემდე უსაფუძვლოდ ჭიანურდება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ სს დევნა მიმდინარეობს უკვე 14 წელია, მათ შორის, -- სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში საქმე იმყოფება მეშვიდე წელია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2010 წლის 18 დეკემბრის განაჩენით -- -- (ძებნილი) ცნობილია დამნაშავედ:

საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ

დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მასვე, 2 წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობის უფლება;

საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 1,000,000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ამ მუხლისათვის მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და განესაზღვრა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. აღნიშნული, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. აღნიშნული, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, გაუნახევრდა და სასჯელად განესაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის წესის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელთა შეკრების საფუძველზე, -- -- სასჯელად განესაზღვრა 22 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლის ვადით სამეწარმეო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 1,000,000 ლარი.

-- -- მიმართ სს საქმე, სააპელაციო წესით განსახილველად რეგისტრირებულია -- სააპელაციო სასამართლოში 2011 წლის 17 მაისს.

2011 წლის 17 მაისიდან - 2012 წლის 19 ნოემბრამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 8 სასამართლო სხდომა, რაც 7 შემთხვევაში გადაიდო სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, -- -- მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების გამო, 2012 წლის 26 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლე -- -- წარმოებაში სს საქმე იმყოფებდა 2012 წლის 26 ნოემბრიდან - 2016 წლის 28 აპრილამდე. საქმეზე დაინიშნა 47 სასამართლო სხდომა.

„პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 05 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, მსჯავრდებული -- -- განთავისუფლდა სასჯელისაგან.

მოსამართლე -- -- უფლებამოსილების ამოწურვის გამო, 2016 წლის 06 მაისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2016 წლის 06 მაისიდან - 2018 წლის 08 იანვრამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 15 სასამართლო სხდომა.

მოსამართლე -- -- დეკრეტული შვებულების გამო, საქმე 2018 წლის 11 იანვარს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 11 იანვრიდან - დღემდე, საქმე იმყოფება მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 10 სასამართლო სხდომა.

3. მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმართება:

მოსამართლე განმარტავს, რომ მისი მხრიდან არ მომხდარა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება. კერძოდ, მოსამართლე აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ხდებოდა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში (დადგენილია, რომ საქმეზე დანიშნულია 15 სასამართლო სხდომა. 6 სხდომა გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. 5 სხდომა გადაიდო მოსამართლის მიზეზით, აქედან 2 შემთხვევაში მოსამართლე იმყოფებოდა სემინარზე, 1 შემთხვევაში იმყოფებოდა სათათბირო ოთახში, ხოლო 2 შემთხვევაში იმყოფებოდა შვებულებაში).

ამასთან, მოსამართლე აღნიშნავს, რომ 2017 წლის 1 მაისამდე, სხდომების გადადება ხდებოდა დაცვის მხარის შუამდგომლობით, ხოლო მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყების შემდეგ, ბრალდების მხარე ვერ ახდენდა მტკიცებულებების წარდგენას.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკას.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, §18; *Kart v. Turkey*[GC], §68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს სსსკ 292-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია.

საქართველოს სსსკ 295-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

საქართველოს სსსკ 295-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თანახმად, სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 1 წლისა და 8 თვის განმავლობაში, რაც წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ საპროცესო ვადის არსებით დარღვევას, თუმცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევის ფაქტი.

კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხედველობაში მიიღო მოსამართლის საქმეთა სიმრავლე (2016 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 207 საქმე, საიდანაც განიხილა 120 საქმე; 2017 წელს წარმოებაში ქონდა 212 საქმე, განიხილა 121 საქმე). ასევე, საბჭომ გაითვალისწინა მოსამართლისა და პროცესის მონაწილეთა ქმედებები, რომლის თანახმად, სასამართლო სხდომების გადადება ძირითადად ხდებოდა მხარეთა ინიციატივით.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №-- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი